

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ საჩივრის დასაშვებობის საკითხი – ნორმათა კოლიზია თუ სასამართლოებში დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში ტექსტში სსსკ) 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოსამართლის განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრდეს პროკურორის ან ბრალდებულის მიერ.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მომსამართლე თავდაპირველად განიხილავს **საჩივრის დასაშვებობის საკითხს**. შემდეგ კი, საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში, ატარებს ზეპირ მოსმენას.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად საგამოძიებო კოლეგია საჩივრის დასაშვებობის სტადიაზე დაუშვებლად ცნობს ხოლმე საჩივარს იმ საფუძველით, რომ საჩივარში არ ყოფილა წარდგენილი არსებითად ახალი გარემოება და მტკიცებულება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას.

ამგვარად, საგამოძიებო კოლეგია დასაშვებობის სტადიაზე არსებითად არ ამოწმებს საჩივრის საფუძვლიანობას და დაუშვებლად ცნობს საჩივარს მხოლოდ ახალი გარემოების და მტკიცებულების წარუდგენლობის მოტივით. ამით მხარეს აღარ ეძლევა შესაძლებლობა არსებითად იდაოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების საფუძვლიანობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კოლიზიურ ნორმებს შეიცავს ამ საკითხებთან დაკავშირებით და არ იძლევა ისეთი ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, როგორსაც საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეები აკეთებენ.

სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილი

სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებულ საჩივარში **შესაძლოა ასევე მიეთითოს რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია** პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივარს უნდა დაერთოს მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი (მასალები) იმ ახალ გარემოებათა შესახებ, რომლებიც უცნობი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის“.

ციტირებული ნორმის ლოგიკურ-გრამატიკული ანალიზით ცხადია, რომ ნორმა თავიდანვე (ნორმის პირველი წინადადება) ითხოვს საჩივარში აღინიშნოს კანონის რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რატომაც მცდარი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში ასახული დებულებები. ამდენად, ნორმის მოთხოვნაა, საჩივარში აღინიშნოს არსებითი ხასიათის პრეტენზიები პირველი ინსტანციის

სასამართლოს განჩინებაზე. ასეთი პრეტენზია მრავალგვარი შეიძლება იყოს – აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სწორად არ იქნა გამოყენებული საპროცესო კანონმდებლობა; მოსამართლეს არ დაუსაბუთებია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი; მოსამართლემ არ გასცა არგუმენტირებული პასუხი მხარის მიერ დაყენებულ საკითხებს ან საერთოდ არ იმსჯელა მათზე; მოსამართლის დასკვნები აღკვეთის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების შესახებ არ არის დასაბუთებული და ა.შ.

არსებითი ხასიათის პრეტენზიის კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ, რასაც, სამწუხაროდ ხშირად აქვს ადგილი პრაქტიკაში აღკვეთის ღონისძიების განხილვისას.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალემა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს (პროკურორის ვალდებულებაა სსსკ-ის 198.2 მუხლის თანახმად დასაბუთებული ვარაუდი წარადგინოს აღნიშნულზე) და ისე მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. ადვოკატმა დასაბუთებული პასუხი გასცა პროკურორის დაუსაბუთებელ მოსაზრებებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზეც, ასევე, წარადგინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რაც პატიმრობის გამოყენებას გამორიცხავს. სასამართლომ გაიზიარა პროკურორის დაუსაბუთებელი ვარაუდი და განჩინებაში არც თავად დაასაბუთა პატიმრობის გამოყენების გარადაუვალობა და მიზანშეწონილობა და ამასთან, პასუხი არ გასცა ადვოკატის არგუმენტებს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს მოსამართლის განჩინება და სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილიც სწორედ ასეთ შესაძლებლობას აძლევს ადვოკატს.

ამის შემდეგ, სსსკ-ს 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემდგომი წინადადება უთითებს, რომ „საჩივარში, **შესაძლოა ასევე მიეთითოს** რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე“.

სიტყვათშეთანხმება – „შესაძლოა, ასევე მიეთითოს“ – ცალსახად ნიშნავს, რომ ასეთი მითითება არასავალდებულოა და დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მხარის შეხედულებაზე. თუ მხარეს აქვს ასეთი ახალი არსებითი მნიშვნელობის საკითხები და მტკიცებულებები, შეუძლია წარადგინოს ისინი.

აღნიშნული მუხლის (207-ე მუხლი) ნაწილის ბოლო წინადადებით, საჩივარს უნდა დაერთოს მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები ახალ გარემოებათა შესახებ, რაც უცნობი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელი გულისხმობს მხოლოდ იმ ვითარებას, როცა მხარე საჩივარში თავისი შეხედულებისამებრ მიუთითებს ასეთ ახალ საკითხებზე და გარემოებებზე, რა დროსაც ევალება კიდევ წარადგინოს მისი ახალი განაცხადის დამამტკიცებელი მასალები. თუმცა, პრაქტიკაში საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეები ხშირად აპელირებენ ამ ნორმაზე და საჩივრის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილებას ასაბუთებენ სწორედ ამ ჩანაწერით – რომ არ ყოფილა წარდგენილი ახალი მტკიცებულება ახალი გარემოების შესახებ.

ამდენად, სსსკ-ის 207 მუხლის მე-2 ნაწილი ითხოვს, საჩივარში აუცილებლად იქნას მითითებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების თაობაზე არსებითი ხასიათის პრეტენზიები – რა მოთხოვნები იქნა დარღვეული და რატომაა მცდარი გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებები. ამასთან, შესაძლებელია, მხარის (პროკურორის ან ბრალდებულის) შეხედულებისამებრ მიეთითოს ახალი გარემოების და შესაბამისი მტკიცებულების თაობაზეც და წარდგენილ იქნას ასეთი მტკიცებულება.

სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილი – კოლიზია 207-ე მუხლის მე-2 ნაწილთან თუ არასწორად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა?

თუმცა, სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილს (რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის ქმედებებს დასაშვებობის საკითხის გამოკვლევისას) ბუნდოვანება შეაქვს ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ცხად რეგულირებაში.

სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია: „მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, **ამასთანავე, განიხილა თუ არა** პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად იგივე საკითხები, ან გამოიკვლია თუ არა მან არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე“.

ამდენად, სსსკ-ის 207 მუხლის მე-4 ნაწილი ითხოვს, მოსამართლემ შეამოწმოს, საჩივარი შედგენილია თუ არა პირველი და მე-2 ნაწილის დებულებათა დაცვით. მუხლის პირველი ნაწილი ეხება საჩივრის შეტანის 48 საათიან ვადას. შესაბამისად, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს ვადაშია თუ არა გადაწყვეტილება გასაჩივრებული. ხოლო, 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებათა თანახმად, მოსამართლე ამოწმებს არის თუ არა საჩივარში მითითებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ არსებითი ხასიათის პრეტენზიები (რაზედაც ზემოთ დეტალურად ვიმსჯელებთ). ბოლოს კი, 207-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რაც იწვევს კიდევ ბუნდოვანებას, მითითებულია: „ამასთანავე, განიხილა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად იგივე საკითხები ან გამოიკვლია თუ არა მან არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე“.

სიტყვა – **ამასთანავე**, შეიძლება გაგებულ იქნას იმდაგვარად, რომ დასაშვებობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, ვადაში გასაჩივრებასა (207-ე მუხლის პირველი ნაწილი) და საჩივარში არსებითი ხასიათი პრეტენზიების (207-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არსებობის შეფასებასთან ერთად, სავალდებულოდ უნდა დადგინდეს, ხომ არ გამოუკვლევია პირველი ინსტანციის სასამართლოს იგივე საკითხები და არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რასაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა გადაწყვეტილებაზე.

თუ ახალი გარემოების და მტკიცებულების (რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია) მითითება სავალდებულოდ შეიძლება მივიჩნიოთ, მაშინ რატომ ითხოვს კანონმდებელი იმავე მე-4 ნაწილში, შემოწმებულ იქნას საჩივარში მითითებულია თუ არა მე-2 ნაწილით დადგენილი გარემოებები – არსებითი ხასიათის მოსაზრებები და პრეტენზიები? თუ ახალი გარემოების ან მტკიცებულების წარუდგენლობა საკმარისია

საჩივრის დაუშვებლად ცნობისთვის, რა აზრი აქვს მოთხოვნას საჩივარში არსებითი ხასიათის პრეტენზიების ასახვის და მერე მოსამართლის მიერ მათი შემოწმების თაობაზე? ვფიქრობ, არავითარი.

დასკვნა

207-ე მუხლის ნაწილებს შორის ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა პრაქტიკაში დამკვიდრებულია 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის და მე-2 ნაწილის არასწორი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ. საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეები საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე ითხოვენ ახალ გარემოებაზე მითითებას და ახალ მტკიცებულებებს, რაც არ გამოუკვლევია პირველი ინსტანციის სასამართლოებს და მათი წარუდგენლობის მოტივით დასაშვებად არ ცნობენ საჩივრებს. ამ დროს კი საერთოდ არ განიხილავენ 207-ე ნაწილში მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს გარემოებებს – მხარის არსებითი ხასიათი პრეტენზიებს გადაწყვეტილების მიმართ. შესაბამისად, საჩივრის დაუშვებლად ცნობით, მხარეს ერთმევა შესაძლებლობა იდაოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან ამ თუ იმ ღონისძიების გამოყენების დასაბუთებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსაბუთებელ და უსაფუძვლო დასკვნებზე და სხვა არსებით საკითხებზე.